სს გალტ ენდ თაგარტი

2021 წლის III კვარტალი
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

კომპანიის მიმოხილვა	2
მოგება-ზარალის ანგარიში	4
ფინანსური მდგომარეობა	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	6
ფაულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიში	7
სააღრიცხვო პოლიტიკა	8
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
კაპიტალის ადეკვატურობა	13

კომპანიის მიმოხილვა

გალტ ენდ თაგარტი წამყვანი საინვესტიციო ბანკი და საბროკერო კომპანიაა საქართველოს ბაზარზე. კომპანია კლიენტებს სთავაზობს ყველა ტიპის საინვესტიციო-საბანკო მომსახურებას, როგორიცაა საბროკერო, კვლევები და საკონსულტაციო მომსახურება, საინვესტიციო-საბანკო მომსახურება, აქტივების და ქონების მართვა. გალტ ენდ თაგარტი საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანიაა და წვდომა აქვს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ინვესტორთა ფართო წრეებთან. კომპანია კარგად არის პოზიციონირებული, რათა დაეხმაროს კლიენტებს საინვესტიციო შესაძლებლობების შესწავლაში და კაპიტალის მოზიდვაში. კომპანიის მრავალწლიანი გამოცდილება, პროფესიონალთა ძლიერი გუნდი და რეგიონის ეკონომიკებზე ფოკუსირება ადგილობრივი და საერთაშორისო კლიენტებსთვის მაღალი ხარისხის მომსახურებას მიღების გარანტია. გალტ ენდ თაგარტის გუნდი აერთიანებს 50-ზე მეტ პროფესიონალს.

კომპანიის მთავარი მიზანია პოზიციონირდეს როგორც საუკეთესო ხარისხის მომსახურების პროვაიდერი, პროდუქტების ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანით (რეგიონების, აქტივების ტიპის და სტრუქტურის მიხედვით) და სთავაზოს მომხმარებელს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ყველა ტიპის მომსახურებას, მათ შორის ყიდვა/გაყიდვა, შენახვა, ფინანსირება და სხვა.

საბროკერო სერვისები

გალტ ენდ თაგარტის საბროკერო მიმართულება მომხმარებელს სთავაზობს ორი ტიპის (საინვესტიციო და კასტოდიანურ) ანგარიშს: G&T Brokerage-სა და G&T Trader-ს. მათგან პირველი არის ტრადიციული საბროკერო მომსახურება, სადაც ვაჭრობა ხორციელდება პირადი ბროკერის დახმარებით და მისთვის სავაჭრო დავალებების მიცემის საფუძველზე, ხოლო მეორე ანგარიში წარმოადგენს ონლაინ სავაჭრო პლატფორმას, სადაც კლიენტი ვაჭრობს დამოუკიდებლად, ბროკერის ჩართულობის გარეშე. ამ ანგარიშების მეშვეობით, კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ვაჭრობის შესაძლებლობას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე საინვესტიციო ინსტრუმენტების ფართო არჩევანით. კომპანია ინტენსიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კასტოდიან ბანკებთან, როგორებიც არიან Clearstream-ი და Euroclear-ი. კომპანიის საბროკერო საქმიანობა არის მოწინავე საქართველოში და მთლიანი ბაზრის დაახლოებით 90%-ს ფარავს. კომპანია მომსახურებას უწევს 3,000-მდე მომხმარებელს, მათ შორის: რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საინვესტიციო ბანკინგი

საინვესტიციო საბანკო დეპარტამენტის მომსახურება იყოფა ორ ძირითად ნაწილად: საკონსულტაციო სერვისი და კაპიტალის ბაზრები. საკონსულტაციო სერვისი მოიცავს ფინანსური მრჩევლის მომსახურებას საჯარო და კერძო კომპანიებისა თუ ფიზიკური პირებისათვის, როგორც ლოკალურ ისე საერთაშორისო ბაზარზე. ხოლო კაპიტალის ბაზრების მიმართულება გულისხმობს პროექტებისა თუ მიმდინარე ოპერაციების დასაფინანსებლად საჭირო სახსრების მოზიდვაში დახმარებას, როგორც სასესხო ისე კაპიტალის ბაზრების მეშვეობით.

კაპიტალის ბაზრები - კაპიტალის ბაზრებზე კომპანია უმეტეს წილად საჯარო/კერძო ფასიანი ქაღალდების განთავსების აგენტის სერვისითაა წარმოდგენილი. კაპიტალის ბაზრებზე კომპანიის საქმიანობა მოიცავს, როგორც კერძო/საჯარო კომპანიებთან ადგილობრივ ბაზარზე კორპორაციული ობლიგაციების გამოშვების მიმართულებას,

ასევე საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ობლიგაციებსა და ევრო-ობლიგაციების გამოშვების ტრანზაქციებს.

საკონსულტაციო სერვისი - კომპანია წლების მანძილზე დაგროვებული გამოცდილებასა და ძლიერი გუნდის მეშვეობით უწევს ფინანსური მრჩევლის მომსახურებას მომხმარებლებს ისეთ ტრანზაქციებში/ოპერაციებში, როგორებიცაა: კომპანიის შესყიდვა თუ გაერთიანება, ფინანსური რესტრუქტურიზაცია, კომპანიის შეფასება, კომპანიის მიერ რეიტინგის აღება, კონსულტაცია კომპანიის სტრატეგიასთან დაკავშირებით და ა.შ.

კვლევების მიმართულება

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს მაკროეკონომიკურ, სექტორულ და ფასიანი ქაღალდების შესახებ კვლევებს. აღნიშნული დოკუმენტები ქვეყნდება კომპანიის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კვლევები ასევე განთავსებულია წამყვან საერთაშორისო პლატფორმებზე: Bloomberg, S&P Capital IQ, Thomson Reuters, FactSet, Tellimer და სხვ. კვლევების დეპარტამენტი ასევე თანმშრომლობს წამყვან უცხოურ და ადგილობრივ ინვესტორებთან და ეხმარება მათ ანალიზზე დაფუძნებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში.

კვლევების მიმართულება შედგება მაღალკვალიფიციური თანამშრომელებისგან და აერთიანებს ეკონომისტებს, ფინანსისტებს და სექტორულ ექსპერტებს.

კონტაქტი:

მისამართი: თბილისი, ა. პუშკინის ქ. 3, 0105, საქართველო
ტელ: +995 322 401 111
ფაქსი: +995 322 235 804
მეილი: gt@gt.ge

მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება

2021 წლის მესამე კვარტალი

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	შენიშვნა	III კვარტალი 2021	III კვარტალი 2020
საოპერაციო მოგება/(ზარალი)			
საკომისიო შემოსავალი	8	5,453,987	1,769,261
საკომისიო ხარჯი	8	(1,217,778)	(761,711)
სულ საოპერაციო შემოსავალი		**4,236,209**	**1,007,550**
საოპერაციო ხარჯები			
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები		20,087	18,664
შრომის ანაზღაურების ხარჯი		613,449	466,703
დარიცხული ბონუსის ხარჯი		694,764	266,129
ადმინისტრაციული ხარჯი		24,129	129,161
ცვეთა და ამორტიზაცია		155,355	47,569
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი		3,016,447	-
სხვა საერთო ხარჯი		37,813	-
სულ საოპერაციო ხარჯი		**4,486,418**	**928,226**
წმინდა საოპერაციო მოგება / (ზარალი)		**(250,209)**	**79,324**
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავლები		270,847	301,232
საპროცენტო ხარჯი		(54,220)	(109,128)
კურსთა სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი)		(71,593)	318,020
ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული მოგება/ (ზარალი)		(19,206)	100,658
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		-	51,906
წმინდა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)		**125,828**	**662,688**
წმინდა მოგება /(ზარალი)		**(124,381)**	**742,012**

ქეთევან ვანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

ირაკლი კირტავა
გენერალური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	შენიშვნა	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე აქტივები			
ფული ბანკში (სადილერო)	1	3,521,146	1,479,330
ფული ბანკში (კლიენტები)	2	67,336,540	44,182,890
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები		-	-
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	3	3,538,599	5,407,487
დარიცხული მოთხოვნები		318,442	719,078
გაცემული სესხი		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		1,262,940	843,130
სულ მიმდინარე აქტივები		**75,977,667**	**52,631,915**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,960,444	197,792
საინვესტიციო ქონება	4	1,505,000	1,505,000
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში (51%-100%)	5	969,000	969,000
ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში (20%-50%)	5	1,271,528	1,271,528
არამატერიალური აქტივები		708,044	487,113
გრძელვადიანი გაცემული სესხი	6	514,756	3,262,578
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,928,772**	**7,693,011**
მთლიანი აქტივები		**82,906,439**	**60,324,926**
ვალდებულებები			
ფულადი ვალდებულებები კლიენტების წინაშე	1	67,336,540	44,182,890
ძირითად საქმიანობაზე გაწეული ვალდებულებები		1,638,508	1,284,258
მოკლევადიანი სესხი	7	480,869	3,171,378
მიღებული ავანსები		87,569	72,514
სხვა დარიცხული ვალდებულებები		2,721,454	-
სულ ვალდებულებები		**72,264,941**	**48,711,040**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,803,459	5,152,230
საემისიო კაპიტალი		19,920,314	20,571,543
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(13,957,894)	(15,982,895)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)		(124,381)	1,873,008
მთლიანი კაპიტალი		**10,641,498**	**11,613,886**
სულ მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		**82,906,439**	**60,324,926**

კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

2021 წლის 30 სექტემბერი დასრულებული პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 1/1/2020 მდგომარეობით	**6,136,137**	**21,587,636**	**(15,948,055)**	**11,775,718**
წმინდა მოგება /(ზარალი)	-	-	1,471,005	**1,471,005**
გამოშვებული აქციების გამოსყიდვა	-	-	-	**-**
ნაშთი 30/9/2020 მდგომარეობით	**6,136,137**	**21,587,636**	**(14,477,050)**	**13,246,723**
ნაშთი 1/1/2021 მდგომარეობით	**5,152,230**	**20,571,543**	**(14,109,887)**	**11,613,886**
წმინდა მოგება /(ზარალი)	-	-	27,612	**27,612**
გამოშვებული აქციების გამოსყიდვა	(348,771)	(651,229)	-	**(1,000,000)**
ნაშთი 30/9/2021 მდგომარეობით	**4,803,459**	**19,920,314**	**(14,082,275)**	**10,641,498**

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2021 წლის მესამე კვარტალი

თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	III კვარტალი 2021	III კვარტალი 2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული საკომისიო შემოსავლები	5,623,812	1,136,001
გადახდილი საკომისიო ხარჯები	(1,217,463)	(258,647)
თანამშრომლების კომპენსაცია	(1,710,373)	(961,548)
საოპერაციო ხარჯებში გადახდილი ფულადი სახსრები	(119,661)	(82,337)
გადახდილი გადასახადები	(103,3s88)	(10,000)
მიღებული დივიდენდები	4	15,718
მიღებული პროცენტი	190,610	320,443
კლიენტების ფულადი სახსრების ცვლილება	23,030,299	4,849,014
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავლები/(გასავლები)	46,169	44,104
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**25,740,010**	**5,052,748**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(19,492)	(9,242)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(49,297)	(1,839)
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების შეძენა	-	(505,698)
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების გაყიდვა	203,664	196
ობლიგაციების ძირი თანხის მიღება	500,000	560,000
ინვესტიცია ასოცირებულ საწარმოში	-	-
გაცემული სესხები	-	-
გაცემული სესხის მიღება	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**634,875**	**43,417**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	475,000	574,000
სესხის დაფარვა	(475,000)	(1,106,000)
საპროცენტო ხარჯი	(44,696)	(14,252)
იჯარის ვალდებულების ძირის დაფარვა	(98,213)	(48,358)
გამოშვებული აქციების გამოსყიდვა	(1,000,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	**(1,142,908)**	**(594,609)**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(36,510)	42,764
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)	**25,195,466**	**4,544,320**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**45,662,220**	**37,722,677**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**70,857,686**	**42,266,997**

მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წლის 19 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია მუშაობს საქართველოში ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს გაცემული საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის 1 შესაბამისად. 2000-2009 წლებში კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგგარტ სექიურითის“, ხოლო 2009-2014 წლებში - „ბიჯი კაპიტალი“. 2014 წლის 26 აგვისტოდან კომპანიის სახელია - სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/კ 211359206).

კომპანია ახორციელებს საბროკერო, საინვესტიციო-საბანკო, საკონსულტაციო და აქტივების მართვის მომსახურეობებს. ასევე, ახორციელებს ფინანსური აგენტის მომსახურებას, სასესხო ფასიანი ქაღალდებისა და ჩვეულებრივი აქციების კერძო და საჯარო განთავსებებს, საკონსულტაციო მომსახურებას კორპორაციული რესტრუქტურირების პროცესში, შერწყმისა და გაყოფის ტრანზაქციებში. 2000 წლიდან კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მაკროეკონომიკური სექტორებისა და კორპორაციული ანალიტიკური კვლევები. კომპანია უზრუნველყოფს გარიგებების დადებას წამყვან საერთაშორისო და რეგიონალურ ბაზრებზე. 2013 წლიდან კომპანია ფლობს ფილიალს აზერბაიჯანში, რომლის საქმიანობა შეჩერებულია 2015 წლის 28 ოქტომბრიდან. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი №79.

2021 წლის 30 სექტემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშიალ“-ის სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის „ბენკ ოფ ჯორჯია გრუპ“ PLC.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა და საინვესტიციო ქონებისა.

შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 30 სექტემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ინვესტიციებს შემდეგ შვილობილ კომპანიაში და მეკავშირე კომპანიებში:

შვილობილი კომპანია	წილი 30/9/2021	წილი 31/12/2020	დაფუძნების ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი
Galt and Taggart Holding Limited	100%	100%	ნიკოზია, კვიპროსის რესპუბლიკა	3 ივლისი 2006

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ერთეულებთან გარიგებებით შეძენილი კომპანიების ჩათვლით, ფასდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლების 20%დან 50%-მდე ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს ერთპიროვნულად ან ერთობლივად. ვინაიდან კომპანია არ ახორციელებს მეკავშირე საწარმოების კონსოლიდირებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში არ აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და აღირიცხება გაუფასურების ზარალით შემცირებული შესყიდვის დანახარჯებით.

მეკავშირე კომპანია	წილი 30/9/2021	წილი 31/12/2020	დაფუძნების ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი
სს თბილისის საფონდო ბირჟა	24%	24%	თბილისი, საქართველო	7 მაისი 2015
სს საქართველოს საფონდო ბირჟა	15.33%	15.33%	თბილისი, საქართველო	12 იანვარი 1999

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

ფინანსური აქტივის შეფასება

სავაჭროდ განკუთვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი - ფასდება რეალური საბაზრო ღირებულებით მოგება/ზარალის ცვლილებით.

სარეალიზაციოდ განკუთვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - ფასდება რეალური საბაზრო ღირებულებით საკუთარ კაპიტალში ცვლილებით.

კაპიტალის ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების შეფასება, რომელთაც აქტიურ ბაზარზე არ გააჩნიათ კოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა ღირებულების ზუსტად დადგენა შეუძლებელია, განისაზღვრება მათი შესყიდვის თვითღირებულებით.

რეალიზაციის ასახვა

სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების რეალურ საბაზრო ფასად შეფასების შედეგად მიღებული რეალიზებული და არარეალიზებული მოგებისა და ზარალის აღიარება ისახება მოგება-ზარალის უწყისში, ყოველი თვის ბოლოს.

სარეალიზაციოდ განკუთვნილი საინვესტიციო ფინანსური აქტივების არარეალიზებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში გადაფასების რეზერვის ანგარიშზე ცვლილების შეტანით, ხოლო ამ კლასის ფინანსური აქტივების გაყიდვისას, თავდაპირველად კაპიტალში გადაფასების რეზერვის ანგარიშზე აღიარებული, აკუმულირებული მოგების და ზარალის გადატანა ხდება მოგება/ზარალის უწყისში.

2012 წლის 1 კვარტალში კომპანიამ შეცვალა გადაფასების მეთოდი აღიარებულ აქტივზე და მოთხოვნის (მყიდველის) ბოლო ფასის ნაცვლად სარგებლობს ბოლო გარიგების საბაზრო ფასით, ხოლო შესაძენ აქტივზე კვლავ იყენებს – მიწოდების (გამყიდველის) ფასს. როდესაც შეუძლებელია დადგინდეს მოთხოვნის და მიწოდების მიმდინარე ფასები, ყველაზე ბოლო ტრანზაქციის დროს დაფიქსირებული ფასი ჩაითვლება რეალურ საბაზრო ღირებულებად, იმ შემთხვევაში, თუ ამ ტრანზაქციის განხორციელების დღიდან არ მომხდარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლელებები. თუ კომპანიას შეუძლია დაადასტუროს რომ ბოლო ტრანზაქციის დროს დაფიქსირებული ფასი არ წარმოადგენს რეალურ საბაზრო ღირებულებას, უნდა მოხდეს ამ ფასის კორექტირება.

უცხოურ ბაზარზე მიღებული შემოსავლები აისახება ეროვნული ბანკის კურსით ლარებში.

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა და შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ფული ბანკში (სადილერო)

	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,070,501	117,484
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,225,698	1,343,242
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	224,947	18,604
სადილეროს ფულადი სახსრები	**3,521,146**	**1,479,330**

2. ფული ბანკში (კლიენტები)

კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს კლიენტების თანხებს, რომლებიც განთავსებულია კომპანიის ანგარიშზე და გამოიყენება კლიენტების დავალებით ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის.

	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
კლიენტების ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკში	64,610,829	40,954,956
კლიენტების ფულადი სახსრები არარეზიდენტ ბანკში	2,725,711	3,227,934
კლიენტების ფულადი სახსრები	**67,336,540**	**44,182,890**

ეს თანხები ასევე აღიარებულია ვალდებულებად და ასახულია კლიენტების მიმართ კრედიტორულ დავალიანებაშიც.

3. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები

	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ინვესტიციები საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ფასიან ქაღალდებში	3,440,897	5,211,550
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	97,702	195,936
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	**3,538,599**	**5,407,487**

4. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებება წარმოადგენს საოფისე ფართს რომლის ღირებულებაც 2021 წლის 30 სექტემბერს შეადგენდა 1,505,000 ლარს (2020: 1,505,000) საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით. გადაფასება ხდება იმ შემთხვევაში თუ არსებობს ფაქტორები რომლებიც მიანიშნებს რომ ბოლო შეფასების თარიღის შემდეგ ბაზარზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება. ქონების ბოლო შეფასება მოხდა 2019 წელს, ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებლი, შპს

„ქართული საშემფასებლო კომპანიის“ და საინვესტიციო ქონება შეაფასდა საბაზრო მეთოდით, რომელიც მიეკუთვნება რეალური ღირებულების შეფასების მე-3 დონეს.

5. ინვესტიციები შვილობილ და ასოცირებულ საწარმოებში

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
Galt and Taggart Holdings Limited - 99.23 %	969,000	969,000
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	**969,000**	**969,000**

ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
GSE (JSC Georgia Stock Exchange) - 15.33%	110,250	110,250
TSE (JSC Tbilisi Stock Exchange) - 24%	1,151,678	1,151,678
კავკასრეესტრი - 5.3%	9,600	9,600
ინვესტიციები ასოცირებულ საწარმოებში	**1,271,528**	**1,271,528**

6. გაცემული სესხები

	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოკლევადიანი გაცემული სესხი	-	-
გრძელვადიანი გაცემული სესხი	514,756	3,262,578
გაცემული სესხი	**514,756**	**3,262,578**

2019 წლის 20 ივნისს კომპანიამ გააფორმა მეზანინ ტიპის სასესხო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის პირველი ტრანშის მიხედვით გასცა 150,000 აშშ დოლარი. სესხს ერიცხება წლიური 18%, რომელიც კაპიტალიზდება ყოველთვიურად. სასესხო კრედიტი (როგორც პირველი, ისე მეორე ტრანში (არაუმეტეს 700,000 აშშ დოლარი) და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი კომპანიისთვის სრულად გადახდილი უნდა იქნეს პირველი ტრანშის ჩარიცხვის თარიღიდან მე-5 წლის ბოლო დღეს.

7. მიღებული სესხები

	30 სექტემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოკლევადიანი სესხები	480,869	3,171,378
გრძელვადიანი სესხები	-	-
მიღებული სესხები	**480,869**	**3,171,378**

8. საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	III კვარტალი 2021	III კვარტალი 2020
საბანკო საინვესტიციო და კვლევების მომსახურება	3,835,718	422,917
საბროკერო საშუამავლო მომსახურება	1,618,269	1,346,344
საკომისიო შემოსავალი	**5,453,987**	**1,769,261**
საკომისიო ხარჯი	(1,217,778)	(761,711)
გაცემული სესხი	**4,236,209**	**1,007,550**

კაპიტალის ადეკვატურობა

2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება, 4,803,459 ლარი საწესდებო კაპიტალისა და 19,920,314 ლარი საემისიო კაპიტალისგან. აქედან გამომდინარე, საკუთარი კაპიტალი აკმაყოფილებს საკუთარი კაპიტალის მოთხოვნას - რაც განისაზღვრება არანაკლებ 500,000 ლარი.